საქართველოს პრემიერ მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ასლი:
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილი

ასლი:
საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრს
ბატონ ირაკლი ქარსელაძე

ასლი:
საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ოთარ შამუგიას

ასლი:
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით კარგარეთელს

ასლი:
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გიორგი ციკლაური

ასლი:
სახელმწიფო რწმუნებულს ქვემო ქართლის მხარეში
ბატონ გიორგი დოხტურიშვილს

ასლი:
რუსთავის და გარდაბნის ათი თემის მაჟორიტარ დეპუტატს
ბატონ ირაკლი შატაკიშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი კუმისის მოსახლეობის ერთობლივი

განცხადება

ქალბატონებო და ბატონებო,

მოგმართავთ სოფელი ახალი კუმისის მოსახლეობა. ჩვენი მომართვის საფუძველი გახლავთ ადამიანის უფლებების დაცვა, კერძოდ:

1. საქართველოს მოქალაქეს უნდა ჰქონდეს წვდომა სუფთა, კარგი ხარისხის სასმელ წყალთან. ეს ასევე გახლავთ საქართველოს ვალდებულება ევროდირექტივის მიხედვით.
2. იმისთვის, რომ განვითარდეს და აღორძინდეს სოფელი, მას უნდა ჰქონდეს გზა (ადვილი წვდომა) და სარწყავი წყალი (მოსავლის შენარჩუნება); გაზიფიცირება,ზამთარში რომ არ დაიჭრას სოფელში არსებული „უპატრონო“ ხეები გათბობის და საჭმლის მომზადების მიზნით.

3. საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება და სახელმწიფოს კი ვალდებულება მიაწოდოს პირველადი გადაუდებელი დახმარება უფასოდ და შეფერხების გარეშე.

იქიდან გამომდინარე, რომ სოფელი ახალი კუმისი მიეკუთვნება ორივე ადმინისტრაციულ ერთეულს (გარდაბანი, თეთრიწყარო), მართებულია ვივარაუდოთ, სოფელს რომელიმემ მაინც უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება და შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება, რომ მოსახლეობამ მიიღოს კუთვნილი სარგებელი. მაგრამ, მდგომარეობა მძიმეა. სოფელს არ ექცევა არანაირი ყურადღება, მეტიც გარდაბნის მუნიციპალიტეტი გვკვებავს ტყუილი დაპირებებით, ხოლო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი თვალით არ გვინახავს.

ახლა მოგახსენებთ ვითარებას პუნქტების მიხედვით და იმ სავალალო ვითარებას, რომელიც განპირობებულია ზემოთ ხსენებულით

1. <u>საქართველოს მოქალაქეს უნდა ჰქონდეს წვდომა სუფთა, კარგი ხარისხის სასმელ წყალთან. ეს ასევე გახლავთ საქართველოს ვალდებულება ევროდირექტივის მიხედვოთ.</u>

სოფელში წლებია არ არის სასმელი წყალი (მიუხედავად იმისა, რომ 5-7 კმ რადიუსში წყალი იღვრება ყოველგვარი დანიშნულების გარეშე).
კარგ ვარიანტში მოსახლეობა წყალს ყიდულობს ან არსებობს კეთილი მეზობლებით ; ცუდ ვარიანტში - სვამს წვიმის ან დამდგარ დაჭაობებულ წყალს.
სოფელს, სოფლის მოსახლოების ორგანიზებით, პერიოდულად სტუმრობს მთავრობის სხვადასხვა წარმომადგებნელი, მათ შორის, გარდაბნის მერი, ქვემო ქართლის გუბერნატორი, სოფლის მაჟორიტარი და გვპირდებიან, რომ სოფელს ექნება არსებული საბაზო საკომუნიკაციო არხები გაურკვევლ წელს ან უკიდურეს შემთხვევაში - ბიუჯეტში ფულის არ არსებობით იმართლებენ თავს.

სოფელში ერთ-ერთმა ახალგაზრდამ დაწერა FACEBOOK პლატფორმაზე: “მთელი ჩემი სოფლის ენერგია, ენთუზიაზმი, ინტელექტი რომ იყოს მიმართული სოფლის მეტად აღორძინებისკენ, და არა კვირიდან კვირამდე 100 ლიტრა სასმელი წყლის თხოვნისკენ, ძალიან წინ იქნება საქართველო, როგორცსახელმწიფო!” – დარწმუნებული ვარ ეთანხმებით.

2. <u>იმისთვის, რომ განვითარდეს და აღორძინდეს სოფელი, მას უნდა ჰქონდეს გზა (ადვილი წვდომა) და სარწყავი წყალი (მოსავლის შენარჩუნება); გაზიფიცირება, ზამთარში რომ არ დაიჭრას სოფელში არსებული „უპატრონო“ ხეები გათბობის და საჭმლის მომზადების მიზნით.</u>

წლების წინ, ჩვენს სოფელში ყოველდღიურად დადიოდა კერძო ავტობუსი, რომელიც მოქალაქეებს ემსახურებოდა სამგორის მეტრო სადგურიდან ჩვენი სოფლის ბოლომდე, შემდგომ რეისებმა იკლო, ვინაიდან სოფლის გზა ძალიან გაფუჭდა. დღეს სოფელში
- ან კერძო ტრანსპორტით უნდა მოხვდე, რის შესაძლებლობას ყველა მოსახლეს არ აქვს
- ან უნდა იმგზავრო თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტით გიგანტის დასახლებამდე და შემდგომ ფეხით უნდა იარო საკმაოდ დიდი მონაკვეთი (თუ სოფლის ბოლო მაცხოვრებელი ხარ, მაშინ დაახლოებით 7კილომეტრი)
- ან კერძო მფლობელობაში მყოფი სამარშუტო ტაქსით, რომელსაც არც ტექ. დათვალიერება აქვს, სახიფათოა და არ ემორჩილება ბაზარზე არსებულ ფასებს და ღირებულებას აწესებს თავის შეხდულებისამებრ.

პანდემიამდე სოფელს ერთ-ერთ სატრანსპორტო საშუალებად ჰქონდა თბილისი-სადახლოს სარკინიგზო მიმოსვლა, რომელიც პანდემიის დროს გაჩერდა და იმის მერე აღარ ფუნქციონირებს. სოფლის მოსახლეობის მხრიდან არაერთი ზარის მიუხედავად პასუხს ვერავინ გვცემს როდის აღდგება მიმოსვლა.

ბავშვები ვერ დადიან სკოლაში ან თუ დადიან მუნიციპალიტეტით გამოყოფილი ტრასპორტით, 20 წუთი სავალი გზა გრძელდება 1 საათი განსაკუთრებით ნაწვიმარზე.
უწყლობით სოფელი ხმება და მოსახლეობა მაინც ვახერხებთ ოაზისის შექმნას. გარდაბნის მერის ყოფილმა მოადგილემ 2020 წლის ზაფხულს დაგვიდასტურა ჩვენი სოფლის წყლის პროექტში ყოფნა, თუმცა ამას კატეგორიულად უარყოფს გარდაბნის მერი. საინტერესოა რატომ ხდება ირგვლივ მყოფი სოფლების წყალმომარაგების აქტიური პროცესი და ჩვენი სოფელი არის გამონაკლისი? გარდაბნის მერიიდან გვესმის „თქვენ არ ხართ ჩაწერილი გარდაბნის მუნიციპალიტეტში და რას ითხოვთ?!“ ან „ცოტა მოსახლეა სოფელში“. ნება მიბოძეთ დავუპირისპირდე ამ არაფრისმთქმელ ფრაზებს. სოფელ ახალ კუმისში 400-მდე აბონენტია ელექტროენერგიის გადამხდელი და ყველა საქართველოს მოქალაქეა, რაც ავტომატურად ნიშნავს გვეკუთვნის კონსტიტუციით მონიჭებული მინიმალური სარგებელი.

გაზი - მივმართეთ კომპანიებს „სოკარი“ და „თბილისი ენერჯი“- მათი პასუხია: ადგილობრივ მუნიციპალიტეტს მიმართეთ წერილობით, რომ მოგვმართონ. გავაკეთეთ ესეც - 2022 წელს კიდევ ხელახალი განცხადება შევიტანეთ გარდაბნის მერიაში ცოცხალი ხელმოწერებით, რომლის მიხედვითაც ვითხოვდით გაზს, თუმცა განცხადებას დღემდე არ აქვს ნომერ მინიჭებული, რაც ნიშნავს, რო მასზე საქმის წარმოება არ დაწყებულა. წერილის მოკითხვის მიუხედავად გარდაბნის მერიას არ ელევა პასუხები წერილის გაურკვეველი ადგილმდებარეობის შესახებ.

3. <u>საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება და სახელმწიფოს კი ვალდებულება მიაწოდოს პირველადი გადაუდებელი დახმარება უფასოდ და შეფერხების გარეშე</u>

ახლა გიამბობთ სრულ ტრაგედიას და სოფლის უკიდეგანო ტკივილს. ერთ-ერთ მოსახლეს განუვითარდა მიოკარდიუმის ინფარქტი. გამოძახებული იქნა სასწრაფო დახმარების ბრიგადა, რომელმაც უგზობის, უმისამართობის გამო ვერ მოაღწია პაციენტამდე. მეზობლემა, ხაზს ვუსვამ, საქართველოს მოქალაქე ჩასვეს ერთ თვლიან ურიკაში და შეაგებეს სასწრაფოს მანქანას. სანამ მანქანამდე მიაღწიეს, ადამიანი გარდაიცვალა. როგორ ფიქრობთ ეს შედეგი დადგებოდა სოფელში რომ ყოფილიყო ელემენტალური პირობა? შესაძლოა, მაგრამ არა ამ შემაძრწუნებელი ფორმით.

რომ შევაჯამო ჩვენი სათქმელი, გთხოვთ და ლეგიტიმურად მოვითხოვთ:

1. სოფელი კვლავ ჩაჯდეს სასმელი და სარწყავი წყლის მოწოდების გრაფიკში. უნდა ვიხილოთ დოკუმენტურად დასაბუთებული დოკუმენტი;
2. მოხდეს სოფლის გაზიფიცირება;

3. მოკლევადიანი გეგმის ფარგლებში მოიხრეშოს სოფლის გზა და გრძელვადიან გაწერილ და დამტკიცებულ გეგმაში დაიგეგმოს გზის მოასფალტება.

პატივისცემით,

სოფელ ახალი კუმისის მკვიდრები თარიღი